

ქუთაისი,
ხუთშაბათი, 22 დეკემბერი
1905
ნომერი 8 კაპიკი * წელიწადი პირველი.

ფურცელი

რუსეთის სოციალ-დემ. მუშათა პარტია.
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 8.

ყოველ-დღიური გაზეთი.

№ 8.

ყოველ-დღიური გაზეთი „სოციალ-დემოკრატიული ფურცლის“

რედაქცია იღებს გაზეთში დასაბეჭ-
დათ ყოველგვარ განცხადებებს.

განცხადების ფასა:

პირველ გვერდზე პწკარი თორმეტი
ნომერი ასოთი თითოჯერ დაბეჭდვა
10 კაპ., მეოთხე გვერდზე 5 კაპ.

ადრესი: ქუთაისი. ყურნალ-გაზეთების
კანტორა „კოლხიდა“

წვრილ ბურჟუაზიული და პრო- ლეტარული სოციალიზმი.

(თარგმანი „პროლეტარიდან“).

ევროპაში არსებობს სხვა და სხვა
სოციალისტური მოძღვრება; მათ
შორის დღეს გამეფებულია მარქსი-
ზმი და ბრძოლა სოციალისტური
წყობილების განხორციელებისათვის
თითქმის მთლიან იხსნა. რო-
გორც ბრძოლა მუშათა კლასისა,

რომელსაც ხელმძღვანელობენ სო-
ციალ-დემოკრატიული პარტიები.
პროლეტარიატული სოციალიზმი,
დამყარებული მარქსიზმზე, უცებ არ
გამეფებულა; ჯერ მან განიცადა
ხანგრძლივი ბრძოლა წვრილ ბურ-
ჟუაზიულ სოციალიზმის, ანარქიზმის
და კიდევ სხვა ჩამორჩენილ სწავლა-
მოძღვრებათა წინააღმდეგ. ასე გა-
სინჯეთ, მარქსიზმი იც და ათი წლის
წინეთ თვით გერმანიაშიაც არ იყო
გამეფებული; ის კი არა და მაშინ
იქ უბრატესობა გადაძაღვალ, არეულ,
ეკლექტიურ შეხედულებებს ქონდა;
აქ არეული იყო ერთი მეორეში
წვრილ-ბურჟუაზიული და პროლე-
ტარული სოციალიზმი. საფრანგეთში-
ესპანიაში, და ბელგიაში კი მოწინავე
მუშათა შორის ფრიალ გავრცელებ-
ული იყო პროლეტარული, ბლანკიზმი
და ანარქიზმი; თითქული ამ მოძღვრე-
ბათაგანი გამომხატველი იყო წვრილ-
ბურჟუაზიული და არა პროლეტარ-
იატის შეხედულებისა.

რა იყო სახელდობ მიზეზი, რომ
მარქსიზმმა ამ უკანასკნელ ხანებში
ასე სავსებით დასწრაფათ გაიმარჯვა?
ის, რომ მარქსის შეხედულება თან-
დათან გაამართლა და განამტკიცა

თანამედროვე საზოგადოებათა განვი-
თარებამ, როგორც ეკონომიური,
ისე პოლიტიკური მხრით; მიი ქე-
შმარტება ცხად ყო მთელმა რევო-
ლიუციონურმა მოძრაობამ და გაქე-
ლილ კლასთა ბრძოლამ. წვრილი
ბურჟუაზია თვალაჩინოთ დაეცა;
ამას რა თქმა უნდა, თავისთავათ
თან უნდა მოყოლოდა სხვა და სხვა
წვრილბურჟუაზიულ ყალბ შეხედუ-
ლებათა გაქარწყლება. ამავე დროს
იზრდებოდა კაპიტალიზმი, მწვავედ
ბოდა ბრძოლა კაპიტალისტურ სა-
ზოგადოების კლასთა შორის, რამაც
უდიდესი სამსახური გაუწია პროლე-
ტარული სოციალიზმის იდეის ზრდას.

ჩვენ ქვეყანაში მაგრათ ედგა ფე-
ხი სხვა და სხვა მოძველებულ სოცია-
ლისტურ სწავლას. ეს რასაკვირვე-
ლია, იხსნება რუსეთის ჩამორჩენი-
ლობით. მთელი ისტორია რუსეთის
რევოლიუციონური აზრისა უკანა-
სკნელ იც და ხუთი წლის განმავლო-
ბაში გამოიხატება მარქსიზმის და
წვრილბურჟუაზიულ ნაროდნიკულ
სოციალიზმის ბრძოლაში. მუშათა
მოძრაობის საოცარმა ზრდამ და წა-
რმატებამ მარქსიზმი რუსეთშიაც
უკვე გაამეფა; ამავე დროს გლეხთა

რევოლიუციონურმა მოძრაობამ, გან-
საკუთრებით გლეხების ცნობილი
აჯანყების შემდეგ, მალოროსიაში
1902 წელს, სული შთაბერა დამო-
აყოცხლა უკვე დახვედებული ნარო-
დნიკობა. ძველებური ნაროდნიკობა
შეფერილი მოდური ევროპული
ოპორტიუნეზმით (იგულისხმე რევი-
ზიონიზმი, ბერშტეინიანსტვო, მარ-
ქსის კრიტიკოსები და სხვა), აი ნელი
იდეიური სალარო ესრეთ-წოდებულ
სოციალისტ-რევოლიუციონერებისა.
ამიტომაც გლეხთა კითხვის გარშემო
ტრიალებს მარქსისტების დავა, რო-
გორც წმიდა წყლის ნაროდნიკებთან,
ისე სოციალისტ-რევოლიუციონერ-
ებთან.

ნაროდნიკული მოძღვრება რაო-
დენიმეთ მთლიანი ზედ მიწვენილი
შეხედულება იყო, ნაროდნიკებს კა-
პიტალიზმის გამეფება რუსეთში შე-
ძლებელათ მიჩნდათ. მათთვის წარ-
მოუდგენელი იყო, რომ ქარხნის მუ-
შები მკელი მებრძოლი პროლეტარი-
ატის მოწინავე რაზმი შეიქნებოდა;
იკინი უარს ყოფდენ პოლიტიკური
რევოლიუციის და ბურჟუაზიული პო-
ლიტიკური თავისუფლების მნიშვნე-
ლობას და ქადაგებდენ, ვითომც შე-

ფ ე ლ ე ტ რ ნ ი

კ ა ლ ე ი დ ო ს კ ო ვ ი.

პროლეტარიატის ძლევა-მოსილ
მსვლელობის წინაშე ყოველივე ქედს
იხრის. ყველაფერი მოსპო და გაა-
ნადგურა, რაც მას წინ გადაედობა.
აღარ არის ძველი, დახვედებული
წყობილების ნაშთნი პოლიცია თა-
ვის გოროდოვოი-სტრაჟნიკებით, სა-
სამართლო, ქალაქის საბჭო და სხვა.
თითქმის ყოველივე საქმეს ქალაქის
კომისია განაგებს. დიდი ხანი არაა,
რაც მოღვაწეობს ეს კომისია, სულ
სამი კვირაა, მარა ამ მოკლე ხნის
განმავლობაში მან დიდი სამსახური
გაუწია ქალაქს. მან შეადგინა ქალა-
ქის მილიცია, მან უზრუნველ ჰყო
მოქალაქე ყაჩაღთა ძარცვა-რბვისა-
გან... მისი წყალობითაა, რომ ამ
ხნის განმავლობაში თოფების და
რევოლვერების ბაგა-ბუფი აღარ ის-
მის, რომლის გაგონებაზე წინეთ
დიდსა და პატარას შიშით გული
უკანკალვდა. მისი წყალობითაა,

რომ ეს ერთი ხანია ღამით მოსვე-
ნებითა გვიჩნავს. ამითანა დაწსე-
ბულება თუმც „ბელსებელისათვის“,
როგორც ჯოჯოხეთის მოციქულის-
თვის, ვერაფერი სასიამოვნოა, მარა
რას იზამ, რაკი მკითხველს ჩემს „კა-
ლეიდესკოში“ ჩვენი ცხოვრების სუ-
რათების მიწოდება დავბირდი, სიტ-
ყვას ვერ ვაკტებ, მრავალ სიგლხეს-
თან, ხან სიკეთესაც აღვნიშნავ.

მაშ შევიხედოთ ქალაქის ყოფილ
საბჭოში.
აქ კომისის კრებაა ერთი ახალ-
გაზდა აგზნებული სიტყვით კრებას
მიმართავს:

— ამხანაგებო! კახაკებთან უკა-
ნასკნელ შეტაკების დროს, როცა
ქუჩები ბარიკადებით იყო მოფენილი
და, როცა ქალაქს ისე ესაჭიროე-
ბოდა პატრონობა და წინამძღოლო-
ბის გაწევა, მაშინ წინამძღოლმა,
ჩვენმა ქალაქის თავმა თავი მოიავათ-
მყოფა და კაბინეტში ჩაიკეტა. რო-
ცა მას ნამესტნიკთან დებუტატათ
წასვლა თხოვეს, სიამოვნებით დათან-
ხმდა, უცებ განიკურნა სენისაგან,
ქალაქის ყუბტიდან ასიანი ჩაიღო და

გაემგზავრა. თფილისიდან დაბრუნე-
ბის შემდეგ ამ ფულიდან მას ერთი
კაპიკიც აღარ დაუბრუნებია.

ამხანაგებო! მრავლისაგან უკრავ-
ლესი პროლეტარი ასი მანეთით მთელი
წლობით არჩენს თავის ცოლშვილს,
და ამდენი ფული რომ ერთმა კაცმა
ორ-სამ დღეში დახარჯოს, გინდ თა-
ვი ერკვას მას, გინდ მუცელი, — ყო-
ვლად შეუწყნარებელია.

იმავე თავს ბანკიდ ნ ტეხნიკურ
განათლებისათვის ხელუხლებელ თან-
ხიდან ფული გამოუტანია და თავის
ჯამაგირათ აუღია. ასეთი საქციელი-
სათვის არა თუ ახლა, ძველ წყობი-
ლებაშიაც პასუხის გებაში მისცემ-
დენ ამ ვაჟებატონს. წინადადებას გა-
ძლევეთ, ყველა ზემოსხენებულ მიზე-
ზთა გამო მოესპოს ჯამაგირი ქალა-
ქის თავს.

წინადადებას კრება ერთხმათ იღებს,
ქალაქის თავს ჯამაგირს უსპობენ.

რეალურ სასწავლებლის დარბაზში
„პედაგოგების კავშირის“ კრებაა.
რა სოის და ფორმის მასწავლებელი
გნებ-ვი აქ არ იყოს: უჩინო და ჩი-

ნიანი, უზნაჩოკო და ზნაჩოკიანი,
ყველანი აქ არიან. გენერლები არა
სჩანან... არის მხოლოთ ერთი, მარა
ისიც რადი პრილიჩია, ვითარცა
მასპინძელი. არ არიან აგრეთვე უფ-
რო დიდ ჩინიანი მასწავლებლები.
არც გასაკვირია, რეაქციას პირნათ-
ლათ უნდა შეეგებონ.

ეს მონობის და სიდუხჭირის მი-
ციქულები ქვეყანას არწმუნებენ: ჩვენ
ის ახლა აღარა ვართ, რაც წინეთ
ვიყავით, ხომ მოგეხანებათ ანდაზა:
tempora mutantur et nos muta-
mur in illos. დიხ, ახალმა დრომ,
ახალმა სიომ ჩვენც გადაგვასხვაფერა,
გავვარეველიუციონერა...

— ბატონებო, არ ივილოთ მზრუ-
ნველის მიერ დანიშნული მასწავლე-
ბლები, კნწის კვრ-თ გავადლოთ, სულ
კუდიტ ქვა ვასროლინოთ...

— მე კავშირში იმიტომ ჩავეწერე,
მეგონა მიშველიდით, მომეხმარებო-
დით და თქვენ დარჩობას მიპირებთ!
— ცხარობს ერთი მოძღვარი.

— მე პროტესტს ვაცხადებ! რა
აყვირებს ამ ხუცესს!

ყველაფერი კარგი, მარა, თუ

საძლეველი იყო სოციალიზმის უცხოელები განხორციელება; მათი აზრით ასეთი ცალიღების ნადავს და წყაროს წარაოდგენდა გლეხთა ობშჩინა, მიიწვილი მეურნეობით. ახლა ამ მოძღვრების ნაფლეთები და დარბა, მაგრამ თუ გვეტრს, რომ კითხვა ნათლათ გამოიკვეს, თუ გვინდა, რომ დავა წყლის ნაყვით არ იქცეს, საჭიროა კარგათ გავითვალისწინოთ და მუდამ სახეში ვიქანოთ ის ყალბი საფუძვლები, რომლებზედაც დაყარებულია ჩვენი სოციალისტ-რევოლუციონერების შეცდომა.

ნაროდნიკების რწმენით ობშჩინა თავის-თავათ სოციალისტური რამ იყო; ამასთანავე მათ არ სწამდათ სოციალისტების მომავალი რუსეთში; ამიტომაც ნაროდნიკები დაინებით ახეობდნენ, მომავალი გლეხისადა. არა, მომავალი რუსეთში მუშისადა. ამტკიცებდნენ მარქსისტები. ახლა ყველასათვის ცხადია, რომ რუსეთის კაპიტალიზმის განვითარებამ, როგორც სასოფლო მეურნეობაში, ისე მრეწველობაში საკმაოდ დაამტკიცა და ნათელიყო ეს შეხედულება. მუშათა მოძრაობამ ყველას თავი უნებლიეთ ამცნო; რაც შეეხება გლეხთა მოძრაობას, აქ ნაროდნიკთა და მარქსისტთა შორის დღემდის მთელი უფსკრული არსებობს; ამის მიზეზი ის არის, რომ სულ სხვა და სხვა გვარათ ესმით ეს მოძრაობა. ნაროდნიკებს გონიათ, რომ სწორეთ გლეხთა მოძრაობა სრულიათ აბათილებს მარქსიზმს; რომ სახელდობ ამ მოძრაობას მიჰყვართ პირ აპირ სოციალიზმის სამეფოში, რომ ეს მოძრაობა უარყოფს, უადგილოთ ხდის ბურჟუაზულ პოლიტიკურ თავისუფლებას; სათავე ამ მოძრაობის წვილი

მეურნეობა და მსხვილი. ერთი სიტყვით, ნაროდნიკებისთვის ნამდვილი სოციალისტური მოძრაობა სწორეთ გლეხთა მოძრაობაა. რაკი ნაროდნიკებს სწამთ გლეხთა ობშჩინა და ნაროდნიკული ანარხიზმი, მათთვის აუცილებელია ზეპო მოყვანილი დასვენები გლეხთა მოძრაობის შესახებ.

მარქსისტებისათვის გლეხთა მოძრაობა დემოკრატიული მოძრაობაა და არა სოციალისტური; იგი თანამგზავრია რუსეთშიაც, ისე როგორც სხვა ქვეყნებში იყო, დემოკრატიული რევოლუციისა; ეს რევოლუციის კი თავის საზოგადოებრივი და ეკონომიური შინაარსით ბურჟუაზიული რევოლუციისაა. გლეხთა მოძრაობა სრულიათ არ ეწინააღმდეგება ბურჟუაზულ წყობილების საფუძველთ, არც კაპიტალს; იგი მიმართულია იმ დამოკიდებულებათა წინააღმდეგ, რომელნიც არსებობდნენ იმ დროს, როცა კაპიტალიზმის ურთიერთობა ჯერ კიდევ არ შემოსულიყო; იგი ეწინააღმდეგება მებატონურ მიწის მფლობელობას, რადგან ასეთი მიწის მფლობელობა წყაროა კაპიტალიზმის ყველა ნაშთებისა. ამიტომაც დღემდელი გლეხთა მოძრაობა გამაჯვება სრულიად ვერ მოკლავს კაპიტალიზმს; პირიქით იგი ხელს შეუწყობს მის განვითარებას, ნიდავ მოუმზადებს და კიდევ უფრო გაამწვავებს მას. გლეხთა აჯანყების სრული გამარჯვება შექმნის მავარნიდავზე დემოკრატიულ ბურჟუაზულ რეპუბლიკისათვის და სწორეთ აქ განაღდება ნამდვილი ბრძოლა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის.

— კა ბატონებო, მარა დამეთანხმეთ, რომ ჩვენ კავშირში ადვილათ შეიძლება შემოგვებაროს არა სასურველი პირები.

— რ.ს ამოვ, რას! შენი ენა ქვას, სიტყვები ქარს! ამინ და კირილეი-სონ! განა შეიძლება, რომ ავტონომიურმა პედაგოგიურმა საბჭომ არა სასურველი პირები მიიღოს?

— ვინ მოგახსენებ, პედაგოგიური საბჭო, რასაკვირველია, არა სასურველ პირებს არ მიიღებს, მარა იქონიეთ სახეში, რომ კაცი შეიძლება ჩინებული პედაგოგიც იყოს და ჩინებული ადამიანიც, მარა ამასთანავე უკიდურესი კონსერვატორი, რომელსაც საბჭო პოლიტიკურ რწმენის გამო უარს ვერ ეტყვის, ჩვენი კავშირისთვის კი ასეთი წევრი არაა სასურველი. ნუ გავიწყდებათ, რომ ჩვენი კავშირი პოლიტიკურია, ჩვენ მებრძოლნი ვგეჰირვება, რევოლუციონერები!

— კმარა, ბატონებო, კმარა! კითხვა გამორკვეულია. ჩვენ ყველანი რევოლუციონერები ვართ. ძირს კონსერვატორები!

მ. რ. დ. ვ. ბ.

ქუთაისის მოქალაქეთა მიმართ.

ქუთაისის ყველა მოქალაქემ იცის, თუ რა მიმე და აუტანელი შრომა და ჯაფა აქვს ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებს. ჩვენთვის არ არსებობენ არც უბრალო და არც უქმი დღეები; რა დროსაც მოხვალთ, ყოველთვის ვმუშაობთ და ამოდენა შრომას კი მთავრობა თავის დღეში ყურადღებას არ აქცევდა. ას წელიწადზე მეტია, რაც თქვენ გემსახურებათ ჩვენი უწყება და ამ ხნის განმავლობაში არავინ მას არ შეუწყუბებია. ჩვენ ყოველთვის ვიყავით უსულო მანქანა: თქვენს სიხარულს, ან მწუხარებას წამში გადავცემდით თქვენს კეთილს. ან უკეთურს და ამასობაში კი ჩვენ, როგორც უსულონი, ვერ შევიძელით ჩვენი მწუხარებაც ვინმესთვის გაგვეზიარება.

დრონი იცვალენ. დაიწყო იანვარში რუსეთის დიდებული რევოლუციის და ჩვენც მხოლოდ მაშინ შევძელი ხმის ამოდება. წარუდგინე მთავრობას ჩვენმა ამხანაგებმა პეტიციის ეკონომიური მოთხოვნების, მარა იმ ხანებში ამყარებული მთავრობას კიდევ შესწევდა ძალა და ჩვენი კანონიერი ეკონომიური მოთხოვნებიდან უარყო. ჩვენი 16 საათის მუშაობით თვითმპყრობელობა მილონობით ჯიბეებს იცვება და ჩვენ კი, ამ სიმდიდრის შემქნელნი, სიზმარშიაც არ გავხსენებდით.

დადგა მეორე ხანა დიდი რევოლუციისა. ეს 17 ოქტომბერია, რომლითაც ყველა მოქალაქემ მიიღო (მხოლოდ ქაღალდზე) „თავისუფლება სინდისისა, სიტყვისა, კრებისა,

— ძირ! ძირს! ძირს! ბანს აძლევენ თვით უმწვერვალესი კონსერვატორები

— ბატონებო, სახალხო მასწავლებლებმა რომ კავშირი შეჭკრეს, მაშინ ძალიან შიშინაობა იყო, მე სლორში გახლდით და იმთ კავშირში ვერ ჩავეწვრე. დიახ, შიშინაობა იყო, ისეთი შიშინაობა, რომ თქვენი უპედაგოგესობა მაშინ ორმოც და ორ მეცნიერთა პეტიციისზედაც კი ხელის მოწერას ვერ ბედავდით. ახლა, როგორც სჩანს, გრიგალს გადაუვლია, თქვენ, ქუთათურ პედაგოგებსაც კი შეგიკავთ კავშირი. მეც მინდა კავშირში ჩავეწერო, მარა სახალხო მასწავლებელთა კავშირში არ შემიძლია, მეშინია. მე ერთი სუსტი კაცი ვარ, ბრძოლის თავი არა მაქვს, სახალხო მასწავლებელნი კი ფიცს სდებენ სოციალდემოკრატიულ წითელი დროში ქვეშ იბრძოდნენ. თქვენ კი, როგორც გხედავთ, ყველანი დიპლომაინები, დინჯნი, ჩინიანები ბძანდებით. მეცა მაქვს ერთი ჩინი, თუმცა პატარა, მარა სურვილი და მისწრაფება კი დიდი

კავშირისა“. ვინც დიდებულია ამ 17 ოქტომბრის მანიფესტით, სოციალისტური რუსეთის დასაწყისით სრულიათ რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა კავშირი“, მარა იმ ჯამში და კაცი-ქამია დურნოვომ მის წინამოადგილეებს გადააქარბა, ჩვენი ორგანიზატორები დაატუსაღა და კავშირი უარყო. მეტი ჩვენც არ დაგვჩენია რა და ვიფიციცნით. აგერ ვინ დღეა, რაც არ იმის, რა ღდება დედამიწაზე. ამოდენა ხანია, რაც არავინ იცის, რა დემართა ჩვენს (მოქალაქეების) ცოლშვილს და მეგობრებს, რომლებიც უცხო ადგილებში არიან; აგერ მეორე თვეა, რაც ჩვენი (მოქალაქეების) შვილები-მოწაფეები უფულოდ არიან უცხო ქალაქებში. განა ეს დურნოვომ და მისმა კომპანიამ არ იცის? იცის და მიტომაც გაჯიუტდა! ეს ამყარებული მთავრობა თავის დღეშიაც არ ზრუნავდა ხალხისთვის და არც დღეს იწუხებს თავს. ერთი კალმის მოსმით მან მოუსპო 140 მილიონ რუსის მოქალაქეს ცხოვრება და ჩვენ კი — ჯამაგირიც ამასთან. აი, მოქალაქენო, რას შერება სიკვდილზედ მიწეული მთავრობა. ცოტა კიდევ გვაცალეთ, და ჩვენც მებრძოლ პროლეტარიატთან ერთათ, ან გავწყდებით, ან გავიმარჯვებთ!.. ჩვენი ბრძოლა არ არის ეკონომიური; ჩვენ ვიბრძვით პოლიტიკურათ და ჩვენი გამარჯვება თქვენი გამარჯვებაა.

10 დიკემბერს თეატრში გამართულ წარმოდგენის შემოსავალიც შემოწირულება ავიდა 864 მანეთაჰდის ჩვენ კი, სამოც გაფიკულ მოხელეს, თვიურათ გვინდა 2600 მანეთი.


ჩვენ იმედი გვქონდა საკუდიტო დწესებულების, მარა იქ სესხი

მაქვს და, თქვენი წყალობა თუ არ მომაკლდა, ნადგორნი სოვეტიკიც გავხდები. მიიღეთ მოწყალება, ნება მომეცით თქვენს მშვიდობიან კავშირში მეც ჩავეწერო

— რაო, რაო? რას მიშქარავს! მშვიდობიანი კი არა ჩვენი კავშირი ნამდვილი ღვრის რისხვა კავშირია! ჩვენ რევოლუციური გზით შეუერთდით სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კავშირს. ჩვენ უნდა დავლევოთ, დავამხტროთ, მოვსპოთ, გავანადგუროთ ძველი წყობილება! გესმის, ჩვენ რევოლუციონერები ვართ, რევოლუციონერები!

ჰვი, ჰვი! გონს მოდით, პედაგოგებო! ვინ თქვენ და ვინ რევოლუციისა! თვეზე მეტია ყაყანობთ, ახალი პროგრამები უნდა შევადგინოთ, და ძველი შკოლა ძალიან ფესვიანათ შევცვალოთო, მარა აბა ამ პროგრამის ერთი სტრიქონი თუ დავიწერათ ჯერ. ქვეყანას ნუ ატყუებთ, თქვენ ქერქში დაეტიეთ!

— რეაქცია ილაშქრებს! აცხა, აცხა! სორობისაკენ, პედაგოგებო!..



ვერ ავიღეთ. ფული არ გვყოფნის, გაჭირება კი დიდა.

მოგმართავთ, პატრიოტულ მოქალაქეთ, ცოტა კიდევ დახმარება გავგიწიოთ.

შემოწირულება მიიღება ამავე გაზეთის რედაქციაში — კოლხიდის კანტონში ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის ბიუროს გადასაცემათ.

ქუთაისის ფ. ტ. ბაურია.

ახალი ამბები.

გუშინ უმრავლესობის კლუბში რეფერატი წაიკითხა ბ. მიქელაძემ ბარაკადება მნიშვნელობის შესახებ. მან დაახასიათა ბარაკადების მნიშვნელობა, როგორც ისტორიულად საფრანგეთის რევოლუციის დროს, ი.ე ახლანდელი მისი გამოსადგობა. რეფერენტი გააკრია როგორი ბარაკადებია დღევანდელ სამარ ტექნიკის დროს საჭირო და როგორ აღვიღებთ, როგორი შეფერვა. რეფერენტი ამ დღევანდელ უფრო ვრცელი რეფერატის წაიკითხა აპირებს ამ საკითხზე.

20 დეკემბერს ქუთაისის სულთ ავადმჯობესა საავადმჯობესოში გაიფიცენ, ფერშობები. ზედამხედველის ბანაშეწე და ყველა მოსამსახურეები ქალი და კაცი რიცხვით 10-მდე და წავიდნენ ზედამხედველ ექიმთან და მოსთხოვეს ნომბრის და დეკემბრის ჯამაგირები, რომელიც მათ არ მიუღიათ. მთელი საათი სულთ ავადმჯობესო რიცხვით 25-მდე იყო დატოვებული მხოლოდ ერთი კაცს ზედამხედველობის ქვეშ. ექიმი შეპირდა, რომ ჯამა-

მაშ ერთა პოლიციის უჩასტკაშიაც შევეჭვრიტოთ-

მზე კარგათ მოწვევრებულია, მარა ბოქაული მაინც ტებალათ განისვენებს.

მეორე ოთახიდან შემოდის ცოლი. — ამდენი ძილი გაგონილა! დუნ ფრატაც, ელ ჩეს ზართუმი?

ინჩუზი? — ბოქაული ზარბაცათ წამოყოფს თავს.

— რა მინდა და შენი გამოანაცვალთ კაკარდ-პაგონებში შე გასაოხრებელო, აქამდის ღამითაც არ გეძინა, სულ დაწანწალობდი და ახლა მთლათ ძილის გულათ გადაიქცე! აღარ აღგები? „გაფიცვა“ გამოსულა, და ჩვენ არც ჩაი გვაქვს, არც შეპარი. რა ღვთის წყრომაა! აქამდის ჩაი-შაქარი თავსაყრლათ გეჭონდა და ყსაბიცი სულ ჩალაღაჯს გვიგზავნიდა. ახლა კი რამდენი ხანია, ერთი ხვირინი ზორცი აღარ მიქამია!

— ვა, როგორ ვერ გაიგე, დედაკაცო, რომ ახლა ის დრო აღარაა. მაშინ მე ჩენ უჩასტკაში პატარა მეფე ვიყავი. ყველა ცთილობდა, ჩემ სიამოვნებას, ყსაბები და ვაჭრები ჩემ

გირს მიიღებთ 22 დეკემბერს. მოსამსახურეები დაიმედებულნი დაუბრუნდნენ თავიანთ სამსახურს. როგორც გავიგეთ მოსამსახურეები მიიღებენ მხოლოდ ნოვკრის ჯამაგირს.

დეკემბერი.

თბილისს, მოკლეს ცნობილი მეთაური, პატრიოტული პარტიის სულის ჩამდგმელი მღვდელი გოროდცევი. კახაკები ჩამოვიდნენ გორამდელი ეკატის მატარებელი გორიდან უკან გამოაპრინეს. ამ მატარებელით გამობრუნდა ი. სტაროსელსკი რომელიც თფილისში მიდიოდა კახაკების ქუთაისიდან გაყვანის დასაჩქარებლად.

სოფლათ

სამტრედიის (საკ. კორ.) ვიღებთ რა მხედველობაში რომ რუსეთის მთავრობა ჩქარის ნაბიჯით მადის ფინანსიურ გაკოტრებისაკენ, რომელიც შიდაც ძლიერ დაინტერესებულია რუსეთის რევოლუციის და ერთი უმთავრესი ძალთაგანი სახელმწიფოს გამაგოტრებელი არის არაპირდაპირი გადასახადები მოსპობა, რომლებიც მთელი თავისი სიმძიმით კისერზე აწვევს გაღატაკებულ ნაწილს საზოგადოებისას, და რომ ამას ექმნება დიადი გააღრმავებელი მნიშვნელობა რუსეთის რევოლუციისათვის, — სამტრედიის მიტინგმა მოწვეულმა ადგილობრივი სოც. დემ. ორგ. ხელმძღვანელობით გადასწვიტა, რომ სამტრედიისში ნაკულები ნაფთი დაახ-

წინაშე ძრწოდენ და კინკალობდენ, ახლა კი... ახლა ზედაც აღარავინ ბიყურებს. ნაცნობი და უცნობი ყველა ჭირანივით გამოიბის... დღე და ღამე მოსვენება არა მქონდა, დავდევი გიტატორებს, ბუნტოვჩიკებს. მინდოდა მთავრობის ყურადღება დაემსახურებია და უეზდის ნაზღინიკობა გამეკრა, მარა ამათ, ყოველივე შრომამ ფუჭათ ჩამიარა.

მეუბნები რათა გძინავსო? ვა, უნდა ვძინო მა რა ჯანაბა გავაკეთო! იქნება გგონია, რომ კიდევ პრიტავი ვარ? ახლა პრიტაკიც და გუმბრუნატორიც კომიტეტია. ყველაფერი მის ხელშია, ყველაფერს ის განაგებს. სირცხვილით კარში ვეღარ გამოვდივარ, ქუჩის ბიჭები პროკლამაციებს შავ ცხვირში მაჩრინან: „პრისტავო, უსუნე, აკრძალული სუნე ხომ არ უღისო?“

რას ამბობდი, გაფიცვაო? რაღა ეშმაკისათვის იფიცებიან, დებოკრატული რესპუბლიკაც აქვთ და კიდევ მეტი. — გაფიცვა, ჰო, გაფიცვა! აი,

ლოცებით 30000 ფუთი მოიტაკოს რევოლუციონურ გზით და გაყიდოს ისე, როგორც უღარს მებატონეს უაქციზოთ. მოწესრიგება გაყიდვის მიენდო აისტვის არჩეულ განსაკუთრებულ კომისიას.

რეზოლიუცია მიღებული სახალხო მიტინგზე 18 დეკემბერს.

მასთან მიტინგმა გადასწვიტა ამავე წინადადებით მიმართოს ყველა იმ სადგურებს, სადაც იმყოფება ნაფთი.

ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას უკვე შეუდგა ამორჩეული კომისია.

მიტინგის დაწყების წინ გაფიცვის ბიურომ მიიღო დებემა ბალტიის მხაოის აჯანყების შესახებ, მიტინგი აღფრთოვანებით მიეგება ლატვიელ-ესტონელ პროლეტარიატის გამართბას და ხელის აწვევით ფიცი დასდო, რომ შესაფერ დროს არც ისინი ჩამორჩებიან თავის რუსეთელ ამხანაგებს და იარაღით ხელში შეუერთდებიან თავის აჯანყებულ ამხანაგებს. მიტინგი საღამოს დაიშალა

მეორე დღეს, კიდევ იყო მოწვეული მიტინგი, რომელსაც დაესწრო უფრო მეტი ხალხი პარველ მიტინგზე ქუდი მოხდით და შესაფერი გალობით პატრისცეს შმიტის ხსოვნას და სამძიმარი და თანაგობნოა გაუგზავნა სევასტოპოლის მატროსებს, რომლებმაც დაკარგეს აერთი გაირი წინააძლოლი.

მიტინგი გაკრძელდა საღამოს ხუთ საათამდის. საათის სამხე მოვიდა თფილისის მატარებელი, რომელშიაც ისხდნენ რამდენიმე ჩვენი ამხანაგები, ბათუმის ქალაქის თავი ანდრონიკაშვილი და ერთი აფიცერი, სავანგებოთ გაგზავნილი თფილისიდან ბა-

ეეცაა გაზეთის დაპტარებლისაგან ვიყიდე, სამკაპიკათ.

— მოიტა აქ, მოიტა! ბოქაული „გაფიცვას“ ათვალერებს.

— ეს გაფიცვას ფურცელი კი არა, გაზეთი გამოუციათ. არ უყურებთ ამ წყეულებს, არც ცენზორის ნებრთვავა, არც პოლიცემისტრის კოთხულობს.

— „რეაქცია ილაშქრებს!“ ოჰო, ეს საინტერესოა. — განაგრძობს. „მომაკვდავის (თვითმპყრობელობის) გარშემო თავი მოიყარა ყველა ბნელმა ძალებმა: პოლიცელებმა, ჯაშუშებმა, ხალხის სისხლის მწველებმა, ხაზინის გამჭურდავებმა და ყველანი ერთათ მეფის სასახლეში თათბრობენ. პლანებს აწყობენ, როგორ იხსნან სოკვდილისაგან, როგორ ჩაბვირონ უკვდავების სული და დაუბრუნონ ძველებური სიძლიერე თვითმპყრობელობას.

— მართლა ნამეტანი მიძინია, დამგვიანებია! მეც უნდა მივეშველო რეაქციას, თვარა, თუ უწინდელი სიძლიერე არ დავიბრუნეთ, წასულია

თომში სააყო წესების მოსახსენლათ. ჩვენმა ამორჩეული რომელი თფილისიდან ჩამოვიდა მიტინგისაკენ და დღევანდელი რუსეთის მდგომარეობა საზოგადოთ, კავკასიის და თფილისის და რასაც კრება დიდის ყურადღებით მიეგება.

ზახნა. მოგვხსენებათა მკითხველო, რომ ქართველი ფედერალისტები, მიუხედავთ იმისა, რომ თითქმის ყოველგან დევნილი რიან ხალხის მიერ „თვითმპყრობელ სოციალდემოკრატების ჩაგონებით“, მაინც არ ცხრებიან და აქა იქ სოფლებში და ქალაქებში მიძვრებიან. ასევე შემოძვრენ ხონშიც, დაარსეს ჯგუფთა, რომელიც შეიცავს მხოლოდ ორიოდე ინტელიგენტს და რამოდენიმე ხონელ მსუქან ვაჭრებს და შეუდგენ ვითამც და მუშაობას. მაგრამ არ იკითხავ ესლა, მკითხველო, რანაირა მათა მუშაობის ტაკტიკა? ისინი დარწმუნდენ, რომ სოციალდემოკრატებთან და პირდაპირ ბოლოით ვერაფერს გახდებიან და ისევე მიმართენ ქურდულ ტაკტიკას: გაღმობიერებენ სოფლის რომელიმე კუთხეში ორ ან სამ კაცს, შეაკრებიან მათ ქურდულათ შეიგნებელ ჩამორჩენილ მეზობლებს, ნაცნობნათესაგებს და შემდეგ მიბრძანდებიან პროპაგანდის გასაწევათ. საპროპაგანდო ტემათ კი სოციალდემოკრატების ცილს დაწამება და ლანძღვა გინება აქვთ მიჩნეული. სოციალდემოკრატები დამღუპელნი არიან, უქადაგებენ ხალხს ქურდულ კრებაზე: „ისინი თქვენს გაღატაკებას აპირებენ, უნდათ თქვენი იოტის ოდენა საკუთრებაც ხელიდან გამოგაცალონ და

ჩემი საქმე, სიშლით სიკვდლი მომელის! აბა, დედაკაცო, ჩქარა! მოიტა ჩემი მუნდირი! მარა რათ მინდა მუნდირი! საღლა რევოლვერი, ხმალი, თოვი? სულ იმ შეჩვენებულმა რაზმელებმა წაიღეს. აღარც ერთგული გოროდოვებია, იმათ ნაცვლათ მილიციონერები დაპარპაშობენ...

ეჰ, სულ ტყუილია! რა უნდა გააწყოს რეაქციამ. როცა მთავრობა ძლიერი იყო, პოლიცია და ჯარი მისი ერთგული იყო, მაშინაც ვერაფერი გააწყოს და ახლა, როცა რევოლუციის ნაპერწყალი კაზარმაშიაც შეიჭრა და ჯარი და მატროსები უკვე აჯანყდა, რეაქციამ რა უნდა გააწყოს! ტყუილია, ტყუილი! სჯობია ისევე დაიძინო.

ბოქაული იეც ლოკინში წვება და ხვირინას ამოუშვებს.

ბელზებელი.



